

რედაქცია
 ქუთაისის ქუჩა, ჯუღაძის სახლი, № 2.
ხელის-მომწერად
 შიდა ქუჩა, „დროება“...
„დროება“— იმპერიის უფროსი
 წელიწადში 6 თვეს. 3 თვეს
 დროება... 13 მან. 7 მან. 4 მ.
 ტელეგრაფი... 9 მან. 5 მან. 3 მ.
 ცენზურის დროებითი... 6 მან. 4 მან. 2 მ.
 ცენზურის დროებითი... 5 მან. 2 მან. 2 მ.

დროება

გამოდის ყოველ-დღე ორჯერად ბარდს

უფროსი ბანსაჟი...

...
 ...
 ...
 ...
 ...

პარასკევს, 24 ოქტომბერს
 ანწრუნის თეატრში
 ქართულ სცენის მოყვარეთაგან ტრუპ-
 ბის დახმარებით

კოტე მესხის სასარგებლოდ

წარმოდგენილი იქნება

I აღმოკატები

ძომეღია 3 მოქ. თ. რაფ. პრისთვი.ა.

II დიპარტისმენტი

რომელშიაც მონაწილეობას მიი-
 ლებენ: კ-ნა ნ. წულუკიძისა, ვ. მო-
 რიძე, აკ. წერეთელი, ვ. აბაშიძე,
 ნ. ბაბუნია, პ. შმიკაშვილი და ა. ცა-
 გარელი.

ტელეგრაფები

(ხალხის შორის საგვერტო)

პეტერბურში, 22 ოქტომბერს. უფის
 გუბერნიის რევიზია სენატორს კა-
 ლენსკის ჩქვს მინდობილი.

გაზეთებში იწერებინან, რომ სასკლ-
 მწიფო კონომიის დეპუტატების
 თავს-მჯდომარე ანაზა ფინანსის მინისტ-
 რად ინიშნება და ახლანდელი ფი-
 ნანსის მინისტრი გრაფი ვა სტოკებს
 თავის თანამდებობასა. გაზ. „მოდ-
 ვას“ გაუგონია, რომ მინისტრის გრე-
 იგის მაგისტრად უპასიუტი იქნება და-

„დროების“ ფელტონი, 20 ოქტომ.

მგზავრის უენიშენები

(შიდღიდა მსკუანამოდინ)

(გაგრძელება *)

ტანტის-ზორის ზემოდ მდებარებენ
 სს. ბაბანეური ანუ ახადელი და მალ-
 რანი. ეს სოფლები ნამეტნავად პირ-
 ველი, შესანიშნავი არიან მით, რომ
 ამათი ადგილ-მამული ფრიად ბალა-
 ხოვანია; ამისთვის აქ ფრიად გაგრე-
 ლებულია მსხვილი რქიანი მევწელი
 საქონელი. სოფ. ახადელი სრულიად
 ალაობრა შაპ-აბაზმა და განახლდა,
 ანუ უკედ ვსტქვათ, აშენდა ამ საუ-
 კუნის პირველს წლებში. დამარსებ-
 ლი ახადლისა იყო სვ. ზარიძე, რომ-
 ლას შთამომავლობა ახლაც სცხოვ-
 რებს ბაბანეურში. ბაბანეურის ჭალა
 სამუდამო ბინაა გარეულის ღორები-
 სა: 20-40 გარეული ღორი ერთად
 *) ისილე დროება № 223.

ნიშნული. გაზ. „ნაგასტის“ სიტყვით,
 გრაფი ვაჭრების მინისტრად ინიშ-
 ნება.

ამ თქვესპეტეს ზინის ზრდასსი,
 რომელნაც რეგლამენტურ „აღმასრუ-
 ლებელ კომიტეტს“ ეკუთვნოდნენ, 15
 ოქტომბრისთვის არის დანიშნული ზე-
 ტებურდის სამხედრო სასამართლო-
 ში.

ნიშ-იორპი, 22 ოქტ. თათქმის
 დანწესებით შეიძლება ითქვას, რომ
 განჭადი აქვრების შეერთებულ შტა-
 ტების რესპუბლიკის ზრდასიდან
 იქნება ამოწმებული.

დუბლინი, 22 ოქტ. სამინისტროს
 ზრდასიდან წარუდგინა გუშინ სასა-
 მართლოს გამამტყუნებელი აქტი ირ-
 ლანდის „საადგილ-მამული ღიგის“
 წევრთა შესახებ; ბრადლებულთ რიც-
 ხვში მოხსენებული არიან ზანჯელ,
 დილდონ, სეკეტონ, ბაგვან და სხვანი.

ბ. სამიონოვი-პოლიტიკოსი

ტვიდისი, 23 ოქტომბერს.

ზორის საისტატო სემინარიის დი-
 რექტორი ბ. სემიონოვი სიყვარულის
 გვიცხადებს; სამაგიერო პატივის ცემა
 ღმერთმა ჩვენი შეგვადღებინოს...
 მაგრამ ამას ჯერ თავი დაეანებოთ.

წასრულ ენკენისთვეში მუთათსში
 იყო სოფლის მასწავლებელთა კრება,
 რომლის სხდომაზე ბ. სემიონოვი
 იღებდა მხურვალე მონაწილეობას.

ხშირად შეგიძლიან ნახონ, ვისაც
 ნადირობა უყვარს.

სოფ. ბაბანეურის ბოლოდგან
 იწყობა მშენებელი ვაკე ბალახით შე-
 მოსილი მინდორი აღგანისა, რომ-
 მელსაც აღმოსავლეთ-სამხრეთ ჩა-
 მოუდის აღმზანი, ხოლო ჩრდილოეთ-
 დასავლეთის მხრით შემოზღუდულია
 ძავესის მთა-გრეხილით. აღგანში
 სცხოვრობენ: ქვემოლ—ჩაღმა-თუშე-
 ბი, ზემოდ წოვა-თუშები, ჩაღმა-თუ-
 შები შთამომავლობით არიან ქარ-
 თველნი, ხოლო წოვა-თუშები კი
 ძისტები. თვით ენა ამ უკანასკნელ-
 თა ფრიად მიემსგავსება ძისტურს და
 თვითონაც ამ აზრისანი არიან. (მ-
 ხუშტის აზრით, ორივე გვარი თუშნი
 ქართველს ტომს ეკუთვნიან. მახუშტ.
 „საქართველოს გეოგრაფია“, გვ. 328).
 თუშები ზაფხულობით მთლად მთა-
 ში მიდიან; ამისათვის ეს ვრცელი
 სოფელი 900-1000 სახლი სრულიად
 ცარიელი რჩება, შოველი თუში თა-
 ვის სახლის კარს გაღებულსა სტო-

ძორესპოდენტებმა გეცნობეს აზრები,
 წარმოსტქმული ბ. სემიონოვის მიერ.
 ზოგნი ჩვენგანი ექვში ვიყავით;
 ვფიქრობდით, თუ ეგებ კორრესპო-
 დენტმა ნამდვილად და დაწერილებით
 ვერ გადმოგვეცეს, რა კილოით და
 არგუმენტებით ამტკიცებდა თავის
 აზრებს ბ. სემიონოვი.

ბუშინ წინ თვითონ ბ. სემიონო-
 ვი დაბეჭდა „დროებაში“ წერილი;
 თავს იმართლებს: ჩემს ღღეში ქარ-
 თველთათვის სეკეთის მეტი არა გან-
 მიზრახავს-რაო; შემდეგ ეხება ბაასს,
 რომელიც მოხდა კრებაზედ.

„რუსულ ენის შესწავლას სოფლის
 სკოლებში, სახელმწიფო, ეკონომიუ-
 რის, ადმინისტრაციულის და პრაქტი-
 კურის შეხედულობის მხრით, უნდა
 ეტვიროს უწარჩინებულესი ადგილიო.“

რუსულ ენას, უეჭველია, დიდი
 მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის; მაგრამ
 რა ჩვენი საქმეა რომელიმე საგნისა-
 თვის ადმინისტრაციულის და სახელმ-
 წიფო მნიშვნელობის მხრით ყუღად-
 ლების მიქცევა? ჩვენ ვართ მასწავ-
 ლებლები, პედაგოგები. ჩვენი მიზანი
 მხოლოდ იმაზედ უნდა იყოს დაპირ-
 დაპირებული, რომ ნორჩი ტყუა და
 ტვინი განვავითაროთ, გავწრთათ,
 შევადლებინოთ ყმაწვილებს ადვილად
 სწავლა მეცნიერების ქვემარტებისა.
 პედაგოგის დანიშნულებაა მოსპოს,
 რამდენათაც შესაძლებელია, ყოველი
 მიზნი, რომელიც უძნელესს შევირდს
 საწავლასა და გულს უტუდებს. წარ-
 მოვიდგინოთ, როგორც ბ. სემიონ-
 ნოვის სურს, რომ დავაწყებინეთ შა-

გიოდს რუსული სიტყვების და წინა-
 დღებთა შესწავლა, ესე იგი ზები-
 რობა პირველის წლის მეორე ნახევ-
 რიდან. შამწვილს ჯერ ქართული
 ანბანი ვერ დაუშორჩილებია,—რო-
 გორ შეიძლება ის ცარიელ სიტყვე-
 ბის და წინადადების გაზვიარებას, და
 სსოგნებას?

ამგვარ შესწავლას სიტყვებისა და
 წინადადებისა არავითარი გონების
 განმავითარებელი მნიშვნელობა არ
 იქნება, მაშასადამ უსარგებლოა, პე-
 დაგოგიურის მხრით. ბ. სემიონოვი
 კარგათ უნდა იცოდეს, რომ მხო-
 ლოდ იმ სწავლებას აქვს განმავითა-
 რებელი ღირსება, რომელიც აღძრავს,
 გამოიწვევს შევირდში გონების თვით-
 მოქმედებას, გაუღვიძებს და ამოქმე-
 დებს ტვინს. ნორჩ ყმაწვილს მხო-
 ლოდ ის შეუძლია დაიზვიაროს თა-
 ვის სასარგებლოდ, რაც კარგათ ეს-
 მის, რაც ეთანხმება მის გრძნობას,
 ხასიათს და წარმოდგინებას. ეს არის
 უმთავრესი დღეა-აზრი და პრინ-
 ციპი პედაგოგისა, და ბენეკესპისხო-
 ლოგიური კანონი სულ უადგილოთ
 არის მოყვანილი.


ბ. სემიონოვი იმეორებს იმ შეც-
 დომილებას, რომლისათვის გასაკი-
 ხველი იყენენ წინანდელი ჩვენი პე-
 დაგოგები, „ცივილიზაციის პიონერე-
 ბი“ ისინი მისდევდნენ პოლიტიკურ
 მიზნებს პედაგოგის საშვალეობით.
 რაღა ლაპარაკი უნდა, ამის გამო
 შეუძლებელი იყო რიგიანად საღმთო
 მოვალეობის შესრულება.—მსწუხ-

ევბს და არ ჰკეტავს; ეს ამიტომ რომ
 ქურდს არ ეგონოს სახლში რაიმე
 ნივთები და ტყუილ-უბრალოდ არ
 დაამტვიროს კარები.

აღგანის მინდორზედ არის აღმარ-
 თული სამების ეკლესია, გუმბათიანი
 და საკმაოდ ვრცელი. სამების სახე-
 ლობაზედ აღწერებულა, როგორც
 „მართლის ცხოვრება“ მოგვითხრობს,
 მამარ-მეფისაგან (1184—1212 წ)
 საუბედუროდ ეს ეკლესია ფრიად
 ღარიბად და შეუფერებლად არის
 შემკული და მორთული. ძანკელი
 ქვით-კირისა აქვს. როგორც რუსის
 ეკლესიას, შაზნისას, ზემო-ნიკოზი-
 სას (მართლში) და სხვებსა; შიგნით
 და გარეთი კედლები თეთრად არის
 შეღებილი. ნაშენებია აგურით და
 დახურული კრამიტით. ღღესასწაული
 ამ ეკლესიისა აღგანის მესამეს
 დღეს იციან დიდის ამბით. აქ უფ-
 რო შესანიშნავი დი ღირს საცნობი
 დღეობაში—თუშთა ჯირითია...

იქ, სდაც არის საზღვარი წოვა და

ჩაღმა-თუშების მამულისა, ერთს მთის
 ქედზედ მდებარეობს დანგრეული სასახ-
 ლე, რომელსაც ახლა უწოდებენ „ცხრა-
 კარასა“. ეს შენობა აგურისაა და
 კედლებიც ზოგიერთი მთელი. პირი
 ამ სახლისა მდ. ალაზნისაკენ არის
 მიმართული. სასახლის გადასწვრივ, მეორე
 მთის კალთაზედ მდებარეობს გუმ-
 ბათიანი ქვით-კირის ეკლესია ნათ-
 ლის-მცემლის სახელზედ და სხვა კი-
 დევ რამდენიმე შენობათა ნანგრევ-
 ბი; ეკლესია შიგნიდან სრულიად
 მოხატულია; სხვათა შორის შიგ არის
 დახატული მამარ-მეფის სახეც ზედ-
 წარწერით ხუტურის ასოებითა. ამ
 ეკლესიის დღესასწაული აღგანის
 მეორეს დღეს იციან იმავე გვარად,
 როგორც სამებაში. ამ ქამად ეკლეს-
 სია ხრულიად თავ-მინებებულია და,
 ურიგო არ იქნებოდა განახლებულ
 ყოფილიყო როგორცაც ძველი და
 მოწამე საქართველოს დიდებისა...
 ცხრა-კარას გასწვრივ, აღმოსავლეთ-
 სამხრეთისაკენ, მდ. ალაზნის ნაპირ-



ვართ, ქვეშაობად, რომ პედაგოგური ასპარეზზე ისე დახელოვნებული კაცი, როგორც ბ. სემიონოვი, წარუტაცია ამგვარ შეცდომილებას.

„მე ქართველებისა და მათი ლიტერატურის წარმატებას შესწავლა“ ვეჭვობს ბ. სემიონოვი. ახლანდელ დროში ყოველს ნამდვილად განათლებულს კაცს და ცივილიზაციის თაყვანისმცემელს უნდა სურდეს ყოველი ხალხის წარმატება. მეცხრამეტე საუკუნემ აღადგინა ნაციონალური პრინციპი; ეხლანდელი საქვეყნო განათლების მიმართულია ამტკიცებს, რომ ცივილიზაციის ხანგრძლივობა დამოკიდებულია სხვა და სხვა ხალხების წარმატებაზე, ინდივიდუალურს განვითარებაზე. მასასადამე ბ. სემიონოვი, როგორც განათლებული კაცი, თავის „სურვილით“ ბევრს არას გვაფალებს; მაგრამ მაინც მადლობელი ვიქნებოდით, რომ წარუვლით გულით გამოეთქვა ქართველების და მათი ლიტერატურის წარმატების წადილი.

თუ ეს ასეა, ქართული ენის და პედაგოგიური ლიტერატურის გამდიდრება უნდა სურდეს. წარმოვიდგინოთ, რომ რომელსამე ხალხს სამეცნიერო ენა არა აქვს შემუშავებული. თუ იმ ხალხის შთამომავლობანი მუდამ უცხო ენაზე ისწავლიან სხვადასხვა საგნებს, იმ შემთხვევაში სამეცნიერო ენა არასოდეს არ შეუმუშავდება და პედაგოგიური ლიტერატურა მუდამ ღარიბი იქნება. ბ. სემიონოვის კარგათ უნდა ახაოვდეს განათლების მსგელოება რუსეთში. რა სახელმძღვანელოები იყო „ციფირსკი სწოლების“ დროს, რა სიმდიდრეს წარმოადგენდა პედაგოგიური და საზოგადოთ სამეცნიერო ლიტერატურა ლომონოსოვის დროს? ნემცურ ან სხვა ენაზე რომ დაეწყოთ მაშინ რუსეთის სკოლებში სწავლება იმის გამო, რომ ამ მხრით რუსული ენა ღარიბი იყო, ნეტავი

ვიყოლე რა მდგომარეობაში იქნებოდა ახლანდელი რუსული მეცნიერება!

„სასარგებლო იქნება ისტორია, გეოგრაფია, გეომეტრია რუსულ ენაზედ რომ ასწავლონ სკოლებში, რადგან ქართულ ენაზე ჯერ კიდევ სახელმძღვანელოები არ მოიპოვებია, ბრძანებს ბ. სემიონოვი. მიკვირს, ნემცურ ენაზე რატომ არ დაუწყეს ბავშვებს რუსეთის სკოლებში საგნების სწავლება, როცა იქაურ პედაგოგიური ლიტერატურის სიმდიდრეს მაგნიტის და იმის მზგავსების თხზულებანი შეადგენდა.

აქედან მკითხველი ჰხედავს, თუ როგორ ეთანხმება ბ. სემიონოვის ჩვენთვის კეთილის სურვილი და აზრები ერთმანეთს.

—
 მათავე ბ. სემიონოვთან სუბარს, მაგრამ აქვე მიხდა ერთს საგანზე მივაქციო მკითხველის ყურადღება:

მთისში მასწავლებელთა კრებამ მიიზიდა საზოგადოების ყურადღება; საკვირველი აქ არა არის-რა. ბანათლება შეიქნა აუცილებელი საჭიროება ჩვენში. ამას ყველა გრძობს: დიდი, პატარა, მოხუცი, ყმაწვილი, მალაღის და მდაბლის წოდების კაცი, გლეხი და თევადი. ბარდა ამისა მივხვნი ამ მოვლინებისა ის იყო, რომ კრებას უნდა განეხილა ჩვენთვის, ქართველობისათვის, ძლიერ საინტერესო საგნები. მანსახილველი საგნები შეცავდნენ გარდა პედაგოგიური მნიშვნელობისა კიდევ სხვებსა, რომელნიც შეეხება უმთავრეს საუნჯეს ქართველებისას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, კრება არ გამოიწვევდა ამისთანა მონაწილეობას საზოგადოების მხრით, თუ რომ საზოგადო პედაგოგიური საგნები ამ შემთხვევაში არ ჰყოფილიყვნენ შეკავშირებულნი სხვა ვითარებასთან და მიხეზებთან, რომელთა აქეთ დიდი ადგილობრივი მნიშვნელობა...

ჩვენის აზრით, ამაში მდგომარეობს მიზეზი მხურვალე მონაწილეობისა ჩვენის საზოგადოების მხრით; ცოტა არ იყოს ჩვენმა საზოგადოებამ გაიღვიძა და სურს დაიფაროს ის, რაც უძვირესს საუნჯეს შეადგენს ჩვენის ხალხობისათვის. სინარულით ვღვიარებ ამ მოვლინებას: ამასში ვხედავ საწუგემო მომავალს ჩვენის ქვეყნისას; დრო გულ-გრილობისა, უმონაწილეობისა მიდის; ცრწმუნდებით, რომ, თუ თითონ ჩვენ არ მოვეხმარეთ ჩვენ თავს, სხვა არაინ მოგვიწყობს ხელს. აწ-მდგომარე საუკუნის საქართველოს ცხოვრებამ დაგვიტყუა ეს ქვეშაობა. ჩვენ უნდა ვუდაწავოთ, რომ ვინმემ არ შეეხა იმას მაინც, რაც დაწინაა უმოწყალო ისტორიულ უსაზრთოებას მოუსწობელი. ბეზარის, ენუგემობთ, რადგან ვხედავთ ამ გვარ ნიშანს ჩვენის საზოგადოების განფხიზღობისას.

მართა ამ ნიშანთაგანი ვაჩვენა მთათისის ინტელიგენციამ, მასწავლებელთა კრების დროს.

აქ აღმოჩნდა ორი ყურადღების ღირსი მოვლინება; ერთი ზევით მოვიხსენიე: ინტელიგენციის მხურვალე მონაწილეობა შესახებ ჩვენის ენის რივიანად დაარსებისა სკოლებში, რასაც მოითხოვს რივიანი პედაგოგიური სისტემა, და მეორე სოფლის მასწავლებელთა გონებითი გავარჯიშება და განვითარება. მაინც კი ამ კრებებზე დაესწო, ყველანი ერთ-ხმათ ამტკიცებენ, რომ ახლანდელი ჩვენი სკოლების მასწავლებელნი სწორედ რივიანად არიან მომზადებულნი თავის სამღეთო მოვალეობის აღსასრულებლად და სწორს გზაზედ დგანანო.

რადგან ჩვენი ხალხის ბედი და უბედობა მათ ხელშია, რადგან ისინი აშენებენ ჩვენის მამულის კეთილდღეობის საფუძველს, ამის გამო ეს მოვლინება დიდათ საწუგემო და სინარულია ჩვენთვის.

მოგილოცავს, როგორც საზოგადოებისათვის, აგრეთვე მასწავლებელთათვის!

ვლ. მიქელაძე.

ახალი ამბები

ჩვენ შევიტყუეთ, რომ იმ საჩივრის გამო, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ დაბეჭდილი და შეეხებოდა შორაპნის უფზდის ადმინისტრაციისაგან ამ მაზრის გლეხების შეწუხებას, ამ ჟამად ბ. მთათისის ლუბერნატორი იმყოფება დ. შვირილაში და სოფ. შიათურაში მიდის, საიდანაც ბარონ მერცენჭელოდისათვის გლეხებს მუქთად გზა გამოჰყავთო.

ბეცნობებენ აგრეთვე, რომ შორაპნის მაზრის უფროსს ბ. მჭომოსკის ორისთვის ვადით სამსახურიდამ დათხოვნის ქალაღი მიუცია მთო. გუბერნატორისათვის...

* *

სოღნლის მაზრის სოფ. მელისციხიდან გვეყრენ, რომ ჩვენს გარემო, ახლო-მახლო, ბევრი სოფლებია და ყველა ეს სოფლები ერთობ შეწუხებულია იმის გამო, რომ ერთი ექიმი არა გვეყავს, არც ადამიანისა და არც პირუტყვისაო. ამავე კორრექტიონდენტის სიტყვით, ამ ჟამად სოფელში პირუტყვის ჭირი არის და მთელი ხალხის თითქმის ნახევარი პირუტყვი სულ დაიხოცა; ამ საქონლის ლემები ქუჩებში ჰყრია, მამასახლისი იმდენ განკარგულებასაც ვერ ახდენსო, რომ ღრმათ დაამარხეიოს მაინც ეს ლემებიო.

* *

ბოროდამ შემდეგ ამბავს გვატყობინებენ:

მართა ვიდაც ი. ლ. კ— შეილი ამას წინათ ერთს ხიდის-თაველ ქალზე დანიშნულა; მაგრამ რადგან ქალი სრულ-წლოვანი არ ყოფილა, ის ქალი და დედამისი გორში ჩამოუყვანია

ზედ არის ამართული 4-6 შენობა, რომელთა შორის ერთი უჭველად ეკვლესია უნდა ყოფილიყო; ერთი დიდი პალტია, ხოლო დანაშთენთ შენობათა დანიშნულება ვერ ვაჩვენებ, მაღალი შენობები კია. ახლა-კარას დასწვრივ, მთის ძირიდან იწყობა ქვით დაგებული გზა, რომელიც მიემართება პლანის პირისაკენ, სადაც ძველნი ზემოდ მოხსენებულნი შენობანი მდებარებენ. ეს ქვით დაგებული გზა ბევრგან შემუსვრილია დროთა-ვითარებისაგან და უფრო ეტყობა შარა-გზის ქვემოდამ, სადაც ადამიანის ფეხი უფრო იშვითად მოჰხვედრი...

ხშირად მრავალნი ქართველთაგანი, მწერალნიც კი, როდესაც საღმე საქართველოში ძველს ნაშთს მიაწყდებიან და მის ვითარებას ვერ გაიგებენ ისტორიით, მაშინათვე თამარს მოიგონებენ—ეს უთუოდ თამარის აშენებულია; თამარი ძლიერი და შემძლე მეფე იყო და მრავალი

შენობები დაგეიტოვაო; ამისათვის შესაძლებელია ესა-და-ეს შენობაც მის დროს ეკუთნოდეს“. რასაკვირველია, ეს წარმოსდგება ჩვენის ისტორიის ჯერეთ კიდევ სრულიად შეუმუშავლობისა გამო. მაგრამ ზემოხსენებულის შენობების შესახებ ამ გვარი ეჭვი შეუძლებელია. თუმცა რამდენიმე ერთი მეორის წინააღმდეგ აზრთა ხსენებულს შენობებზედ წარმოთქმული სხვა-და-სხვა მწერალთაგან, მაგრამ, ვამბობ, ამ საგნის შესახებ მაინცა-და-მაინც უფრო ცხადდ მოგვიტხრობს ისტორია, ვიდრე ძაკასის უზარ-მაზარს კედელზედ, ანუ ზოგიერთს იმ ძველს ნანგრევებზედ, რომლებზედაც აგრე უხვად მოგვითხრობს განსვენებული და დაუღალავი მშრომელი პ. ი. იოსელიანი. ჩვენ ცხადდ გვეუბნება ისტორია, რომ ალვანის სამების ეკლესია თამარ-მეფის აღშენებულია; ვიცით ისტორიიდან აგრეთვე ისიც, რომ თამარ-მეფეს ალვანში ხშირად უყარ-

და დროს გატარება. და თუ ალვანში ხშირად იმყოფებოდა, ნუ თუ აქ ერთი სასახლე მაინც არ ექნებოდა. შეტველად რომ ექმნებოდა. ჩემის ფიქრით, „ახლა-კარა“ უნდა ყოფილიყო (ამ ადგილას მაინც) თამარის სასახლე. რადგანაც მთელს ალვანში არ მოიპოვება იმისთანა მშენიერი და პოეტური ადგილი, სადაც მდებარეობს „ახლა-კარა“. თუ სახეში მივღებთ საქართველოს მეფეთა ჩვეულებასა და მღეთის მოყვარებასა, რომ სასახლესთან თითქმის ყოველთვის ჰქონდათ ხოლმე „კარის ეკლესია“ მაშინ ცხადდ იქნება რომ ნათლის-მცემლის ეკლესია უნდა ყოფილიყო თამარის კარის ეკლესია. მაგრამ, უნდა დაუმატოთ აქ, ეს ეკლესია შემდეგ არის განახლებული. ეს აზრი წარმოგვათქმეინა იმ გარემოებათა, რომ ეკლესიაში თამარის სახე დახატული თაღზედა (რომ ნათლის-მცემლის ეკლესია შემდეგაც იყო კარის ეკლესიად, ამას

თეიმურაზ ბატონის შეილიც ამტკიცებს).

თეით ეკლესია სრულიად მოხატულია მეთქი; მაგრამ შეუბრალებელ მაჰმადიანთ ხმალ-თოფებს შეუმუსრავთ მშენიერი (და რომელი ძველი მხატვრობა არ არის მშენიერი!) მხატვრობა ამ ეკლესიისა: სურათთა სახენი ჩამოფხაჭნილ - ჩამოხოკილნი არიან; მხოლოდ რამდენსამე სურათს ატყვია ზედ-წარწერა, როგორც მაგ. თამარის სურათსა... ჩვენის ფიქრით, თვით დიდი გონიერი და მღეთის მოშიში თამარი სიცოცხლით არ დაახატინებდა თავის სურათსა ეკლესიაში ხალხის თაყვანის საცემლად თეოსადმი. თაყვანს სცემს თამარს ჩვენს დროში მთის ხალხი: თუმ-შეგ-ხევესური, ამისათვის შესაძლებელია შემდეგ თამარის სიკედილისა ამავე მთის ხალხებმა დაახატინეს მოსავონებლად თამარის დიდებისა და მისდამი თაყვანის საცემლად...

საჭიროდ ვრაც მოვიხსენიო ამ



და იქ აცხოვრებდა, სანამ სრულ-
წლოვანი შეიქნებოდა. ამ რამდენიმე
დღის წინათ ეს ქალი თავის დედი
ვიდაც შორის წვირილ ხინოვნიკების
თაოსნობით მოუტაცნიათ და ერთ
ამ ხინოვნიკთაგანის ნათესავს მკერ-
ვალს მ. ხ—ას უნდა შერთონო.

მიზეზი ამ მოტაცებისა თურმე ის
არის, რომ ხსენებულ ქალს ცოტა
რალაც მზითვეი აქვსო.

პირვანდელი საქმრო გეთხოვს
ეურჩიოთ: რა ჰქნას იმან და როგორ
დაიბრუნოს უკან თავის საცოლო?

შბრალო საქმე: მთავრობას შეატ-
ყობინოს; გამოიძიებენ, ჰკითხვენ; თუ
ქალს ჰსურს, ისევ იმას გაჰყვება, თუ
არა—და ესეც იმის ნებაა...

* *

მაგვყავს შინაარსი „ივერიის“ მესა-
მე წიგნისა, რომელიც დაიბეჭდა და
ამ კვირაში დაურთდება ხელის-შომ-
წერლებს:

I „მეფის - ტყაოსნის“ გაგრძე-
ლება.

II „მათიკა“—ხუთ - მოქმედებანი
დრამა აქტისტი საგარლისა.

III „ჩაილდ-ჰაროლი“ — რომანი
ოთხ ნაწილად ლორდ ბაირონისა,
თარგმ. იოსებ ბაქრაძისაგან.

IV „პეპო“—სამ-მოქმედებანი კო-
მედია ბაბ. სუნდუკიანისა, იმისგანვე
სომხურიდან ნათარგმნი.

V „ჰვარი ვაზისა“ — ლექსი,
მ. მ.—სა.

VI * * — ლექსი, იმისივე.

VII „ანტონ პათოლიკოზის ისტო-
რიული წერილი.

თეატრი

მათული წარმოდგენა

22 ოკტომბერს.

მ. დ. ბ. პრისთვისაგან ქართუ-
ლად გადმოკეთებული სამ-მოქმედ-
ებანი კომედია „მეთილი და უმანკო

საენის შესახებ თეიმურაზ ბატონი-
შვილის აზრი. „ალეგანი, ამბობს თეი-
მურაზი, არის ოთხედი დასაწყისისა
შინა შინაგანისა ძახეთისა გაღმა-
მზრისასა, გაღმათ პლაზან მდინარისა,
პირის-პირ დიდისა მის დაბის ახამე-
ტისა და ქვემოთ ალენისა მინდო-
რი დიდი „ალენის მინდვრად“ წო-
დებული; ერთ კერძო შთაუდის მდ.—
პლაზანი და მეორესა კერძოსა აქვს
მთარი ძაგასისა კალთათა და მთასა-
ზედა არს სასახლე მეფეთა, სადაცა
ლეონ ძახთა მეფე (520—1574) ხში-
რად იმყოფებოდა, სასახლე იგი არს
დარღვეული; არამედ კარის საყდარი
მართლადვე ჰგვის სახელსა ზედა წმ.
იოანე ნათლის-მცემელისა (ზემოდ
მოხსენებული). წინარე ადგილისა მის
მაღლისა გორასა ზედა ნალარა-ხანისა
სახლისა კედელი აწკა იხილებიან
და მისგამო ადგილსა (მას) უწოდებენ
„სანალაროსა“ (თეიმ. ბატ. საქ. ისტ.“
გვ. 21).

თეიმურაზი იმას კიარ მოგვითხ-

ანგელოზი“ წარმოადგინა გუშინ ჩვე-
ნდა ტრუპაში.

მს მეორედ არის, ამ პიესას რომ
თამაშობენ ჩვენს სცენაზე; პირველად
ისეთი სუსტი რამ გვეჩვენა, რომ
გვეგონა—მეორედ ამავე პიესის თა-
მაშს ვეღარ ვაბედავდნენ; მაგრამ გა-
ბედეს და გუშინდელი მაყურებლები
მადლობას თუ ეტყვიან, თორემ სხვა
ვერაფერს ამ ვაბედვისათვის...

მართლაც პ. შიფიანმა მრ. შორი-
ძის, მოხუცებულ მოარზიყის როლი,
რომელსაც გულს უხეთქავენ იპით
რომ მუდამ კეთილისა და უმანკო
ანგელოზს, ეძახიან რომელიც ამგვარ
სახელის გავარდნა ქალებთან არმი-
ყობას უშლის, ეს როლი პ. შიფიან-
მა წელს ბევრად უკეთ, უფრო ცოც-
ხლად წარმოადგინა, უფრო ცხოვე-
ლად დავიხატა ამგვარი მოხუცებუ-
ლის ტიპი ვინემ შარშან ჩვენი ტრუ-
პის მეორე ნიჭიერ აქტიორმა მ.
აბაშიძემ.

მეორე უმთავრესი როლიც—სო-
ნას, ქალისა, ამ პიესაში წელს უფრო
კარგათ იყო მ. საფაროვისაგან შეს-
რულებული, ვინემ შარშან. ამის
სახის გამომეტყველება, მიხვრა-მოხ-
ვრა სიტყვა-პასუხი და სხვა
ყველაფერი სწორეთ ისეთ გასათხო-
ვარ უმანკო ქალს, ბარიშას მოგა-
გონებდათ, რომელსაც სიყვარულის
ამბავი ახლად გაუგონია ანუ ამოუ-
კითხავს რომანებში და რომელიც
ამ ამბების განხორციელების „იშტაზე“
არის მისული...

ბაბუნას ქალი ამ პიესაში სონას
დედის როლს თამაშობდა, ანხლი
დედა-კაცისას, და რალა თქმა უნდა,
რომ ამგვარ როლში ის თითქმის
უნაკლებო იქნებოდა.

თუ პ. მოხევე ასე თან-და-თან
გაკეთდა ახალ-გაზდა მოარზიყების
(ჟონ-პრემიერს) როლში, უეჭველია,
რომ ერთ დროს ის საუკეთესო მო-
თამაშე შეიქნება ამ ძიმე და
უმაღურ როლებისა. რაც ახალ-გაზ-

რობს, თუ ვინ აღაშენა აქ სასახლე
ანუ საყდარი. არც „მართლის-ცხოვე-
რება“ მოგვითხრობს არასფერს იმა-
ზედ, თუ ლეონ ძახთა მეფეს აქ, ალ-
ენში ჰყვარებდეს ცხოვრება ან აღე-
შენებინოს რაიმე, იგი განსაკუთრე-
ბით ქ. ბრემში ცხოვრებდა, სადაც
აღაშენა მშვენიერი მთავარ ანგელო-
ზის ტაძარი, რომელმაც შემდეგ ლე-
ენის სიკვდილისა, მიიღო მისი გვაი.
მისმა ცოლმა, ბურიელის ქალმა თი-
ნათინ აღაშენა შუა მთის მონასტერი
თანხმად სიმზრისა, რომელიც იხილა
მან. „რამეთუ წარგიყვანს დიდებული
ვინმე ცოლად და მთასა ერთსა იხი-
ლო მოგზაურმან შინდი თეთრი,
მდგომარე მშვენიერს ადგილს; აღა-
შენე მუნ მასზედა მონასტერი ლეთის-
მშობლისა („მართ. ცხ.“ ნაწ. 2 გვ. 106)
რაიცა შეეხება „ნალარა-ხანსა“ და მის
სასახლესა, მე თვით ამ სახელწოდე-
ბის ხანი ძახეთის გამგებლად ყოფი-
ლი არსად შემხვედრია. „მართლის-
ცხოვრებაში“ ძახეთის მმართველებად,

და მოარზიყისათვის საჭირო თვისება
არის, თითქმის ყველაფერი მიუნიჭე-
ბია ლმერთს პ. მოხევისათვის: კარგი
ტანი, ლაზათიანი მიხვრა-მოხვრა,
ტკბილი, საარზიყო ხმა და არა-უშნო
სახე. უკანასკნელ წარმოდგენაში და
ზოგჯერ ადრეც ჩვენ შევნიშნეთ
მხოლოდ ერთობ უჩვირო გრომი-
როცა და როლების უცოდნელობა.

დეერსტისმენტი მშვენიერად წა-
ვიდა. ბაბუნას ქალის სიმღერამ, პე-
წერეთლისა და პ. შიფიანის ლექსე-
ბის კითხვამ და საგარელის სცენებმა
აღტაცებაში მოიყვანა მაყურებელი,
თითოეულს რამდენჯერმე გაამეორე-
ბინეს და უხვი, უზოგველი ტაში და
ბრაფა უძღვნეს.

უსხოპთი

წმრილი ამბავი. ალბანის კავში-
რის ოთხი მოთავენი უეცრად გა-
დაცვლილან. აღვლევებული ხალხი
იმით სიკვდილს პორტას აბრალდეს:
„ესენი იმისგან მოწამლულნი არიანო“!

მენგრიული გაზეთი *Pesti Naplo*
აღმოსავლეთის საქმის თაობაზედ, სხვა-
თა შორის, ამბობს:

„აღმოსავლეთის საქმის სიმძიმის
შუაგული (ცენტრი) ბოლგარიაშია.
„ბოლგარიის საქმე“ იმის მიზეზი,
რომ მენის მმართველობა ღრმა ფიქ-
რით უცქერის მომავალს. რუსეთმა
თუ ბოლგარიის და აღმოსავლეთ-
რუმელიის შეერთება მოახერხა, მაშინ
იგი აღმოსავლეთის ბატონი შეიქნება,
ჩვენ იქილამ გამოგდებული დავრჩე-
ბით და ვერც ჩვენს მიწა-წყალში
ვიცხოვრებთ უფლებათ.

„საქმეთა გარემოებიდამ ცხადად
გნებდეთ, რომ ბოლგარიის და რუმე-
ლიის შესაერთებლად ცდას ექვსიოდე
თვის შემდეგ შეუდგებიან. ამაზე ჩვე-
ნი სახელმწიფო არაფრისთვის არ და-
თანხმდება.

მართალია მოიხსენებიან რამდენიმე
ხანი, მაგრამ ამათში „ნალარა-ხანად“
არაფერს იწოდება. თუ გამოცვლილი
სახელია რომელიმე ხანისა—რა მო-
გახსენოთ; არის მხოლოდ ამ სახელ-
წოდების მიმსგავსებული სახელი—ნა-
ზარ-ალი-ხან, რომლითაც იწოდებო-
და ძახეთის მეფე ირაკლი პირველი
(თეიმურაზ I-ის ძის დეითის-ძე, რომ-
ელიც იმყოფებოდა რუსეთში და მე-
ფის პრინციის დროს—1664—1675
(მართლის მეფის მახტანგ V-ის შვი-
ლი) დაბრუნდა საქართველოში (თუ-
შეთში); შემდეგ წავიდა სპარსეთში და
აქედგან სცდლობდა შაჰ-სულეიმანის
წინაშე ძახეთში გამეფებასა და შემ-
დეგ მაჰმადიანობის მოღებისა „მოვიდა
მეფედ თეილისში (1688) მაინცა-და-
მაიც დარწმუნებით არ შეგვიძლიან
გსთქვათ, თუ ირაკლი პირველი იყოს
თეიმურაზის ნალარა-ხანი... ირაკლი
პირველი გარდაიცვალა ტყვედ სპარ-
სეთში, ვგონებ 1706 წ. რაიცა შეე-
ხება თეიმურაზის აზრსა, რომ რადგა-

„ჩვენ ვხლავთ უნდა შეუდგეთ მო-
ხაეთა ძებნას. პირველი ჩვენი მო-
ხავე—ბერმანია არის, რომლის *veto*
რუსეთს შელაგმავს; გარდა ბერმანიისა
იტალიაც სასარგებლო მეკავშირე
იქნება ჩვენი, და იმის მოსამხრობ-
ლად უკვე ცდილობენ.“

პეტერბურლიდამ *Daily News* აც-
ნობებენ, რომ ახალთექველები ყო-
ველ ალავას უპირებენ თავზე დაცემას
მათზე მიბრძოლ რუსის მხედრობასაო.

Press-ის სიტყვით, ახალ-თექვეში
მყოფი რუსის მხედრობას კიდევ უნ-
და მიაშველონ ჯარი, რომლის რიც-
ხვი 10,000-მდე უნდა აიყვანონ, და
ზარბაზნების 100-მდე. ამ ომიანობის
გათავებას მომავალ წლის თებერვალ-
ში ელიან. მაზეთის სიტყვით, ეს ომი-
ანობა ბეოკ-თეფეს აღებით დაბო-
ლოვდება

მოგვხსენებთ, ბერლინის ტრაქტატის
შემდეგ ბერმანიამ თან-და-თან უმა-
ღურად ზურგი შეაქცია თავის წინან-
დელს „უგულითადესს“ მოხავეს—რუ-
სეთს, და უფრო მეგობრულად დაუხ-
ლოვდა ავსტრიას. ამ ახლის კავშირით
ნემენცური (ბერლინის) გაზეთები ტრა-
ზახობენ მთელის მეროპის წინაშე.
მათს ტრაზახობას ერთს კოკას ცივ
წყალს ასხამს ინგლისის მმართველო-
ბის გაზეთი *Daily News*-ი შემდეგ
სიტყვებით: „თავადის ბისმარკისაგან
ხელმძღვანელი ბერმანია იმისთანა
სახელმწიფო არ არის, რომ მჭიდრო
კავშირის შეკვრა შეეძლოს. იგი ამ
კავშირებს ხმარობს თავის მიზნების
მისაღწევ იარაღებად, და იმ წამსვე
სტოვებს რა კი აღარ საჭიროებს მათ
მუდამ კავშირისათვის ყველაზე უფრო
გამოუდევარი სახელმწიფო ავსტრია
არის; სანამ სხვას შეეკვრებოდეს იგი
კავშირით, მისთვის მიუცილებლად
საჭიროა შინაურობაში მოარზიყოს
თავისი საქმეები“.

ნაც აქ უცხოვრია ნალარა-ხანსა მის-
გამო ადგილსა უწოდებენ სანალარო-
საო“—მართალია. სასახლისა და ეკ-
კლესიის დასწვრივ სახნავი მიწებია
და ამ მიწებს უწოდებენ „სანალარო-
სა“; ამ ადგილებში მხენელ-მთესვე-
ლებს რომ ჰკითხოთ: „სად ჰხნავდით?“
მაშინვე დაუყოვნებლივ გიპასუხებენ:
„სანალაროშიო!“ მიმეორებ: ვინ იყო
როდის იყო, ან მართლად იყო ნა-
ლარა-ხანი აქ, თუ არა,—დარწმუნე-
ბით ვერაფერს მოგახსენებთ. რაიცა
შეეხება თვით ალენის სახელ-წოდე-
ბასა,—საიდგან წარმოსდგა ეს სახელ-
წოდება,—ამაზედ თეიმურაზ ბატო-
ნიშვილი გვიპასუხებს:

„ალენია, ე. ი. ყოველი კერძო
ძახეთისა, ვიდრე ზღვამდე ძასპისა და
ვიდრე ღარუბანდამდე და იგიცა: წო-
დება ალენია უძველესი სახელ-წო-
დებაა. ალენია ქართულისა წოდე-
ბისაებრ ითქმის საჯანჯად ადისა (სად-
გურად ალისა)...“



განცხადებანი

ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკისაგან

НЕВА

1881. ИЛЛЮСТР. ГАЗЕТА, XXIV Г.

„Нева“ состоитъ изъ 3 изданій: а) Нева. б) Журналъ Романовъ и Повѣстей в) Парижскія моды, полный дамскій журналъ. 4000 столбцовъ текста и 600 великолѣпнѣйшихъ иллюстрацій.

4 преміи, въ томъ числѣ обратившій на себя общее вниманіе большой гравированный на СТАЛИ, портретъ Государя Наслѣдника, 2 олеографій съ картинъ Айвазовскаго и Клевера и гравюра Гейльбута „Въ поляхъ“ съ парижской выставки.

Цѣна 6 р. и за тщательную упаковку и перес. премій 50 к. Безъ доставки 5 р., съ дост. 6 р.

Нева и Иллюстр. Вѣстникъ съ большимъ роскошно выполненымъ на СТАЛИ портретомъ Е. И. В. Наслѣдницы Цесаревны 9 р. и за тщательную упаковку и перес. премій 50 к. Безъ дост. 8 р., съ дост. 9 руб.

„Нева“ представляетъ собой въ астоящемъ смыслѣ слова Газету для всѣхъ и обо всемъ. Польза, удовольствіе, интересъ доставляемые ею, дѣлаютъ ее необходимой въ каждой образованной семьѣ.

Первыя тысящи подписчиковъ получатъ всѣ преміи въ декабрѣ 1880 г.

ИЛЛЮСТР. КАЛЕНДАРЬ НА 1881 г.

Пользующійся благосклонностью публики, Иллюстриров. Календарь Баумана появится въ октябрѣ, украшенный олеографіей: СЧАСТЬЕ МАТЕРИ. Кромѣ календарныхъ свѣдѣній онъ содержитъ въ себѣ романъ изъ современной русской жизни „Наслѣдство Ксеніи“, справочный отдѣлъ, интересныя и полезныя статьи, повѣсти, рассказы, множество практическихъ совѣтовъ, юмористики и проч. Въ красивой папкѣ 1 р., съ перес. 1 р. 30 к., въ переплетѣ съ золотымъ тисненіемъ 1 р. 80 к. Для подписчиковъ на „Неву“ или „Вѣстникъ“ 75 к., въ перепл. 1 р. 20 к., съ пересылк.: въ папкѣ 1 р., въ перепл. 1 р. 50 коп.

Требованія адресовать: въ контору журнала „НЕВА“ Исаакіевская площадь, № 6, на углу Большой Морской, въ Петербургѣ, или въ Москву: въ Центральную Контору объявленій для всѣхъ европейскихъ Газетъ (Л. Метиль) Петровка, домъ Салодовникова.

Ц. (3 - 1)

ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო საყოველთაოდ აღხადებს, რომ. ა. ბანკის წესდების მე-17 §-ის ძალით ინიშნებიან საზოგადო ვაჭრობით გასასყიდლად სხენებულს ბანკში დაკრედიტულნი უძრავნი მამულნი ქვემო აღნიშნულთა პირთა, წესდებისამებრ ბანკის ხეცდრ გადასახდთა მათ-მერ შემოუტანლობისა გამო.

ზასყიდვა არ მოხდება მხოლოდ იმ მამულთა, რომელთა მებატრონენი, იმავე წესდების მე-19 §-ისამებრ, სრულიად შეაფასებენ ბანკის სახეცდრო გადასახადს და თან განცხადებაზე გასულს ხარჯს.

ბერი, სახელი, მამის სახელი და წოდება ბანკის მიხედვით.	რა მამულია?	სად მდებარეობს მამული?
ეფთხიანი, ბიორგი როსტომის ძე, აზ.	მზო, ზვარი და სახნაგ-სათესი, 4 დესიატინი და 313 კვად. საფ.	სოფ. შოლვეს ქუთ. უეზლისა.
ლომინაძე, მია იესეს ასული, აზ.	მზო, ზვარები, სახნაგ-სათესი და ტყე. 8 დესიატინა და 1824 კვად. საფ.	სოფ. სალომინავეს ქუთ. უეზ.
მუსკლავანი, ტარიელ მკროპირის ძე, გლეხი.	მზო, ზვარი სახნაგ-სათესი და ტყე, 15 დესიატინა.	სოფ. ტოლას რაქის უეზლისა.
მაქვლაძენა: ვალერიან და ბიორგი ბეკლარის ძენი, თავ.	მზო და სახნაგ-სათესი, 23 დესიატინა და 1104 კვად. საფ.	სოფ. ქულაშს ქუთ. უეზ.
ნიკურაძე, სესია ნიკოლოზის ძე, გლეხი.	მზო და სახნაგ-სათესი, 1 დესიატინი და 984 კვად. საფ.	იქვე.
ტოკონიძისა, მარიამ ანდრიას ასული, გლეხი.	მზო, სახნაგ-სათესი და ტყე, 10 დეს. და 889 კვად. საფ.	ზუმთის აგარს ქუთ. უეზ.
მაქვლაძე, ალექ. ანდრე ტარიელის ძე, თავადი.	მზო; ბაღი და სახნაგ-სათესი, 11 და ერთ-მეოთხედი დესიატ.	სოფ. ქულაშს ქუთ. უეზლისა.
კახსარაჯანი, ივანე იოსების ძე, აზ.	სახნაგ-სათესი და ტყე, 20 დესიატ. და 1981 კვად. საფ.	წინაველის აგარს ქუთ. უეზ.
დადიანი, ბიორგი ნიკოლოზის ძე, თ.	სახნაგ-სათესი და ტყე, 420 დესიატინა და 840 კვად. საფ.	სოფ. რიყეს ზუგდიდის უეზლისა.
კაშია, პავლე სპირდონის ძე, გლ.	მზო, ზვარი, სახნაგ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. და 1421 კვ. საფ.	სოფ. ბაშას ქუთ. უეზლისა.
მურადავი, თომა პავლეს ძე, მოქ.	სახნაგ-სათესი და ტყე, 12 დეს. და 1820 კვ. საფ.	სალორის აგარას ქუთ. უეზ.
წერეთლები: ბიორგი და დიმიტრი მეთიმეს ძენი და მასილ სამონის ძე, აზნაურნი.	მზო ერთ-სართულიანი სახლები: ერთი ქვეითკირისა, ხოლო მეორე ხისა, სამხარე-ულლოვებით და მასთან ეზო, ბაღი, სახნაგ-სათესი და ტყე, 2 დესიატ. და 2146 კ. ს.	მ. ქუთაისს.
ჩარქვაძისა, ელისაბედ სიმონის ასული, აზ.	შვიდი ერთ-სართულიანი ქვეითკირის დუქანები სარდაფ-თ და მასთან მიწა, 103 და 5 ხეცვარი კვადრ. საფ.	იქვე.
ლოლაძე, ბიორგი ბესარიონის ძე, აზ.	მთხი ქვეითკირის ერთ-სართულიანი მა-ლაზიები და მასთან მიწა 276 კვ. საფ.	"
კანდელაკისა, ეკატერინა ანდრის ასული, კოლლეგსკი ასესორის ცოლი.	მზო სახლი: ერთი ორ-სართულიანი (ძირა სართული ქვეით-კირისა, ხოლო ზედა ხისა), და მეორე ერთ-სართულიანი ქვეით-კირისა და მასთან მიწა, 192 კ. ს.	"
გურგენისა, მღვინორა მიხაილის ასული თ.	ერთ-სართულიანი ქვეითკირის სახლი სამ-ზარეულოთი, და მასთან ეზო და ბაღი, 1230 კვ. საფ.	"
ქაზარაძისა, ძლია ივანეს ასული, მოქალაქე.	მზო-სართულიანი ქვეითკირის სახლი და მასთან მიწა და ეზო, 200 კვ. საფ.	"
მურადავი, თომა პავლეს ძე, მოქ.	ერთ-სართულ. ხის სახლი და მასთან ეზო, 780 კვ. საფ.	"
მურგანავი, პეტრე სიმონის ძე, აზ.	მთხი ქვეითკირის ერთ-სართულიანი დუქანები და მიწა 210 კვ. საფ.	"
ბენდიანი, მარია ალოიზის ასული, საფრანგეთის ქვემეგრდომი.	ერთ-სართულიანი ხის სახლი ქვის საფუძველზე და მასთან მიწა, 62 ¹ / ₂ კვ. საფ.	"
იოსელიანი, კონსტანტინე იესეს ძე, პოდპორუჩიკი.	მზო-სართულიანი სახლი, ძირს სართ. ქვეითკირის, ხოლო ზედა ხისა, და მიწა, 344 კვად. საფ.	"
ჩარქვაძისა, ელისაბედ სიმონის ასული, აზ.	მზო ერთ-სართ. ხის სახლები და მასთან ეზო, სახნაგ-სათესი და ტყე, 3 დესიატ. და 2306 კვ. საფ.	"
ბაქრაძე, დიმიტრი ბახუტას ძე, აზ.	ერთ-სართ. ხის სახლი, ქვის საფუძველ. და მასთან ეზო, ბაღი, 818 კვ. საფ.	"
ვახაშვილი, მაქსიმე ბიორგის ძე, კოლლეგსკი ასესორი.	მზო ნაკვეთი ად., 2 დესიატინი და 708 კვ. საფ.	"
ღუღაძე, სოლომონ ნიკოლოზის ძე, კოლლეგსკი სეკრეტარი.	ერთ-სართ. ხის სახლი და მასთან მიწა, 7437 კვადრ. საფ.	"
კ. შ. ა. იესე ლაზარის ძე, გლეხი.	ერთ-სართულ. სახ. და მიწა, 840 კ. ს.	"
მურადავი, თომა პავლეს ძე, მოქ.	ერთ-სართულიანი ქვეითკირის დუქანი და მასთან მიწა, 54 კვ. საფ.	"
გაბინია, ბეჟან ბიორგის ძე.	ერთ-სართ. ქვეითკირის დუქანი და ერთ-სართ. ხის სახ. და მასთან მიწა, 97 კ. ს.	მ. შოთი.
ბეგია, სიმონ ივანეს ძე, და შაფა-თაგა, ბიკინია შრიგ. ძე, იგილ. ვაჭ.	მზო ერთ-სართულ. ქვეითკირის დუქანი და თან მიწა, 38 კვად. საფ.	იქვე.
ვახუშტია, ბურდღუბიშვილის ძე, იგილდის ვაჭარი.	ერთ-სართულიანი ქვეითკირის დუქანი და ერთ-სართულ. ხის სახ., მიწა 94 კ. ს.	"

(დასასრული)